„შალომ კლუბი“ 17 წლის გადასახედიდან

„შალომ კლუბ გურიას“ ჩვენი მკითხველისთვის განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. ამ კლუბის შესახებ დღეს გურიაში კარგად იციან როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლებმა, ისე ახალგაზრდებმა და ბავშვებმაც, ანუ სამივე თაობამ. რასაკვირველია, „შალომ კლუბი“ სახელდებული და უკვე პოპულარულია ისრაელში.

ნომრის სტუმარია „შალომ კლუბ გურიას“ პრეზიდენტი, ბატონი ზაურ ოსეფაიშვილი

ზაურ ოსეფაიშვილი: *„შალომ კლუბ გურიას“ პრეზიდენტი; წლების განმავლობაში გორაბერეჟიოულის ტექნიკუმის დირექტორი; 2003-2005 წლებში ჩოხატაურის რაიონის გამგე-ებლის მოვალეობის შემსრულ-ებელი, მუნიციპალიტეტის 2 მოწვევის საკრებულოს წევრი; სოციალ-ურ საკითხთა კომისიის თამჯდ-ომარე ჩ აკადემიის სა-პატიო პროფესორი. ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში შე-ტანილი წვლილისთვის დაჯილდოებულია ისრაე-ლის საელჩოს საპატიო სიგელით.*

- ბატონო ზაურ, თით-ქოს გუშინ იყო, არადა, უკვე საკმაო დრო გასულა „შალომ კლუბ გურიას“ ჩამოყალიბებიდან. მოდით, შევახსენოთ მკითხველს რა იყო ამ კლუბის ჩამო-ყალიბების მიზანი და როგორ გამოიყურება „შა-ლ-მ კლუბი“17 წლის გადასახედიდან?

- „შალომ კლუბ გურია“ 2003 წელს ჩამოყალიბდა ისრაელის სასწავლო ცენტრ „მაშავის“ კურსდამთავრებულები სგან. კლუბის მიზანია ისრაელში მიღებული გამოცდილებით ადგილობრივი თვითთმართველობის ხელშეწყობა მეურნეობის, განათლების, სოციალურ და ტურიზმის სფეროებში. ებრაულ-ქართული ურთიერთობის განვითარება.

- რამდენადაც საზოგადოებისთვის ცნობილია, ამ კუთხით არაერთი პროექტი გაქვთ განხორციელებული.

-რა თქმა უნდა. პროექტებს ამ მიმართულებით ვახორციელებთ არამარტო გურიაში, არამედ დასავლეთ საქართველოში. სწორედ ამ პროექტების ფარგლებში ჩაუტარდა უფასო ოპერაციები 50 ადამიანს ისრაელიდან მოწვეული სპეციალისტების მიერ; გაკეთდა საჩვენებელი სასათბურე მეურნეობა ჩოხატაურში; მარწყვის მინიპლანტაციები - შშმ პირთა ოჯახებში; 5 წელია იმართება ქართველ და ებრაელ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში; ვანისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში მოვაწყვეთ საფუტკრეები რუტის სკებით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტში - მარწყვის პლანტაცია ღია გრუნტში; დავეხმარეთ დღის ცენტრებს და ქუთაისის, ვანისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეებში შშმ პირებს გადავეცით ლენოვოს ფირმის ლეპტოპები; დავეხმარეთ შშმ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ „სერაფიმს“ გათბობის სისტემის მოწყობაში; გავაკეთეთ კერამიკის საამქრო სამხატვრო სკოლაში, მინი სპორტული მოედანი.

- თქვენ ბრძანეთ, რომ კლუბის შექმნის მიზანი ტურიზმის განვითარებისადმი ხელშეწყობაც არის. რა გაკეთდა ამ მიმარ-თულებით?

- უნდა გითხრათ, რომ შევიმუშავეთ ტურისტული მარშრუტები გურიის რეგიონში, ხელი შევუწყვეთ საოჯახო სასტუმროების გახსნას დაბა ჩოხატაურში, სოფლებში - ზოტსა და სურებში. ამ მარშრუტებს უკვე სტუმრობდნენ ებრაელი, გერმანელი და ყაზახი ტურისტები. კოვიდ19 ის გამო, ეს პროცესი დროებით შეჩერდა, მაგრამ იმედია, ყველაფერი გამოსწორდება.

- ახლა რა პროექტებზე მუშაობთ?

- ამჟამად ვმუშაობთ პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს მეტყველების კორექციის დიაგნოსტირებას გურიის სამივე მუნიციპალიტეტის ბავშვებისთვის, ამ თვეში ვგეგმავთ მის გახორციელებას, თუ ისევ პანდემი-

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 25 (10359) 14 სექტემბერი 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

ოზურგეთს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სტუმრობდა

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი **კელი დეგნანი** გურიას ეწვია. გურიაში ვიზიტის ფარგლებში ელჩმა და გურიის სახელმწიფო რწმუნებულმა ზურაბ ნასარაიამ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ოზურგეთში სოფელ შემოქმედში „მენაბდის მარანი“ დაათვალიერეს და გურულ ტრადიციებს გაეცნენ.

მხარეებმა შეხვედრაზე ასევე განიხილეს რეგიონში ტურიზმის განვითარების გეგმები, პერსპექტივები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

„არაჩვეულებრივი ვიზიტი მაქვს გურიაში, მქონდა ძალიან კარგი შეხვედრა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, გუბერნატორთან და მერთან. მოვისმინე სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინიციატივები, რაც ემსახურება გურიაში ტურიზმის ინდუსტრიის, მუნიციპალური სერვისებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, ასევე განვიხილეთ: სოფლების ინტერნეტიზაციის საკითხი, რეგიონის განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც მიმართული იქნება ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობისკენ. ვისაუბრეთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დეცენტრალიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში“, – განაცხადა კელი დეგნანმა.

გომისმთაზე გასულ კვირაში 4 მშენებარე სახლის კარკასი მოიპარეს

კურორტ გომისმთაზე საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მუშაობის პირველი ეტაპი დაასრულა

ალიონი. კურორტ გომისმთაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა მუშაობის პირველი ეტაპი დაასრულეს. მათ ასეულობით სააგარაკო სახლის და ნაწილობრივ სააგარაკე ნაკვეთების აზომვითი ნახაზები შეადგინეს.

თუ როგორც ჩაიარა სამუშაოებმა, ამის შესახებ სააგენტოს წარმომადგენელმა, გომისმთის ჯგუფის უფროსმა **გოჩა გვანცელაძემ** მოგვცა მოკლე კომენტარი:

– ჩვენი სპეციალისტები აქ თითქმის სამი კვირაა მუშაობდნენ. მე მათ 9 დღის წინ შემოვიარეთდი. ძალიან დიდი მოცულობითი სამუშაოები ჩატარდა, რომელიც ახლა საჯარო რეესტრში გაგრძელდება. პირველ რიგში მიწები დაურეგისტრირდებათ იმ მოქალაქეებს, ვისაც აქ 2007 წლამდე ედგათ სააგარაკო სახლი, რასაც ისინი შესაბამისი საბუთებით დაადასტურებენ.

რაც შეეხება 2007 წლის შემდეგ ყოველგვარი ნებართვის გარეშე აგებულ სახლებს, მათი რეგისტრაციის შესახებ ამ ეტაპზე ვერ გიპასუხებთ, ასევე პასუხს ვერ მოგცემთ სააგარაკო ნაკვეთების დაკანონების თემაზეც, თუმცა გვაქვს ინფორმაცია, რომ აზომვითი სამუშაოების მეორე ეტაპი ჩატარდება, – გვითხრა გვანცელაძემ.

რა სიტუაციაა ამჟამად გომისმთაზე? ძველი ტემპით არა, მაგრამ კურორტზე მშენებლობები გრძელდება. მდინარე ბჟუჟის ხეობაში არსებულმა საგუშაგომ ახლა ბჟუჟესის შესავლელთან გადაინაცვლა და ოზურგეთი-გომისმთის გზით სამშენებლო მასალებს არ ატარებენ, თუმცა არსებობს მეორე გზა შუახევის მხრიდან, საიდანაც ბოლო პერიოდამდე საკმაოდ დიდი ოდენობით სამშენებლო მასალები შევიდა კურორტზე და მშენებლობები გრძელდება.

მშენებლობები ქაოსურად, ძირითადად კურორტის მიმდებარე ტერიტორიებზეა გაჩაღებული. აშენებენ სამ-ენებლო ნორმების წესების დარღვევით, ხშირად არასპეციალისტები.

– რამდენიმე დღის წინ გავაფრთხილე ერთ-ერთი საგარაკო კოტეჯის მშენებლები, რომ ცუდად კრავდნენ კარკასს, შესაძლოა ივი ჩამოშლილიყო და ცუდი შედეგი დამდგარიყო. ყურად არ იღეს ჩემი შენიშვნა და მუშაობა გაგრძელეს. საბედნიეროდ შენობა მაშინ ჩამოიშალა, როცა მშენებლები ისვენებდნენ. კურორტის გარშემო მიმდინარე მშენებლობებზე კონტროლს ვერ დააწესებ, თანაც იქ დამსვენებლები არ არიან. წინა კვირაში 4 მშენებერმ სახლის კარკასი

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვეორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა
„მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სტუმარი

„შალომ კლუბი“ 17 წლის გადასახედიდან

ამ არ შეგვიშალა ხელი

სულ მალე გურიის გუბერ-ნიის, ისრაელისა და სლოვაკეთის საელჩოების დახმარებით, ისრაელიდან ჩამოვიტანთ და გურიის რვა სკოლაში დავამონტაჟებთ მაღალი ტექნოლოგიის სასმელი წყლის საფილტრ დანადგარებს, რომელიც საათში 500 ლიტრ წყალს ფილტრავს ყოველგვარი ქლორისა და ქიმიის გამოყენების გარეშე. დანადგარები ასუფთავებს სასმელ წყალს ყველა სახის ინფექციური ბაქტერიებისგან

- ბატონო ზაურ, 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნები ტარდება. „ქართული ოცნებიდან“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია ბატონი ვასილ ჩიგოგიძე. თქვენ, როგორც გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი და ბატონი ვასილი, როგორც დეპუტატი, წლების განმავლობაში თანამშრომლობდით. აქედან გამომდინარე, რა შეგიძლიათ თქვათ ბატონი ვასილის შესახებ ისეთი, რაც, შესაძლოა, მკითხველმა კარგად არ იცოდეს?

- დიახ, ასეა. ბატონი ვასილი 2003 წელს ავირჩიეთ დეპუტატად, მაშინ იგი დამოუკიდებელი დეპუტატების ფრაქციის წევრი გახლდათ პარლამენტში. ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო იმ პერიოდში. რაიონს საერთოდ არ ჰქონდა ბიუჯეტი. ახლა ჩოხატაურის ბიუჯეტი 14 მილიონზე მეტია. 2003-2005 წლებში მომხდარმა სტიქიამ მთლიანად გაანადგურა რაიონის ინფრასტუქტურა - გზები და ხიდები, სახურავები გადახადა საცხოვრებელ სახლებს. სოფელ წიფნაგვარაში ჩამოწოლილმა მეწყერმა ერთი სახლი მთლიანად შთანთქა და თან ჩაიყოლა ოჯახის უფროსი. დაინგრა სოფლებთან დამაკავშირებელი 7დიდი და პატარა ხიდი.

ბატონი ვასილის გარეშე უბიუჯეტო მუნიციპალიტეტი ამ პრობლემებს ნამდვილად ვერ გაუმკლავდებოდა. ის ხშირად პირადი სახსრებით აფინანსებდა 7 საბავშვო ბაღის მასწავლებელთა ხელფასებსა და აღსაზრდელთა კვებას. მზრუნველობდა გრიგოლ ხანძთელის ეკლესიასთან არსებულ უფასო სასადილოს, სადაც 80 ბენეფიციარი იღებდა საკვებს. აქტიურად იყო ჩართული ზემო სურების მიკროჰესის მშენებლობაში. ეს სოფელი 8 წელიწადი უშუქოდ იყო.

უშუალოდ მისი ჩარევით დაიწყო 3 სკოლის მშენებლობა და 2 სკოლის რეაბილიტაცია.

მოუწესრიგებელი იყო ჯანდაცვის სისტემა. დღეს ოპერაციებს სახელმწიფო აფინანსებს, მაშინ ბატონ ვასილს უხდებოდა ავადმყოფების დახმარება-. ჩოხატაურის საავადმყოფოს შეუძინა მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა.

მახსოვს, ჩოხატაურში საშინელი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, ბავშვის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ადგილზე ვერ ვშველოდით. ღამის 2 საათზე დავურეკეთ ვასილს. რომ იტყვიან, ,,ფოსტლებით“ მივიდა სამხედრო აეროდრომზე, შვეულმფრენი იქირავა, თბილისში გადააფრინა და ასე გადაარჩინა ის ბავშვი.

მის სახელს უკავშირდება ჩოხატაურის სტადიონის რეაბილიტაცია, სისტემატურად ეხმარებოდა სპორტსმენებს.

ვასილს ძალიან უყვარს გურია, ეხმარებოდა ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებს, განსაკუთრებით ადგილობრივ ბიუჯეტში ფინანსების მობილიზების კუთხით. მას ხშირად თხოვდნენ დახმარებას, ისიც ყოველთვის ეხმარებოდა. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ბახმაროში, ფაფარას მიმართულებით ელექტროენერგიის მიწოდებაში,სადაც ნასაკირალის მოსახლეობა ადის საზაფხულო იალაღებზე. ბახმაროს პოლიკინიკას შეუძინა მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანა.

მახსოვს, ბახმაროში უნდა გაკეთებულიყო გარე განათება. თანხები არასაკმარისი იყო გამოითქვა აზრი, ამ საქმეში ოზურგეთისა და ლანჩხუთის რაიონებსაც მიეღო წილობრივი მონაწილეობა. ვასილი წავიდა წინააღმდეგი, რა ფული უნდა გადავახდევინოთ, პირიქით კომფორტი უნდა შევუქმნათო და საქუჩო განათების საყრდენები მისი უშუალო ჩარევით იქნა შეძენილი. უამრავი ასეთი საქმის ჩამოთვლა შეიძლება კიდევ.

ვასილ ჩიგოგიძეს უფალმა შეაძლებინა დაბა ჩოხატაურის ცენტრში იოკიმესა და ანას სახელობის ტაძრის აშენება.ღვთისნიერი და მადლიანი კაცია, რომელსაც ძალუძს სახალხო და სახელმწიფოებრივი საქმეების კეთება, წარსულის დაფასება, აწმყოს სრულყოფა და მომავლის განჭვრეტა.

ვასილ ჩიგოგიძე რომ გაიცნო, უნდა შეხვდე, მოუსმინო, შეკითხვები უნდა დაუსვა, პრობლემებზე ესაუბრო. თუ დაგპირდება, აუცილებლად შეგისრულებს! მოკლედ, ასეთია ჩვენი ვასილი.

გომისმთაზე გასულ კვირაში 4 მშენებარე სახლის კარკასი მოიპარეს

კურორტ გომისმთაზე საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მუშაობის პირველი ეტაპი დაასრულა

მოიპარეს.. ასეთებიც ხდება სამწუხაროდ კურორტზე, –- გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა დაბა გომისმთაზე **ბესიკ ლომინაძემ.**

ბესიკ ლომინაძის თქმით, იგი დიდი იმედით უყურებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქმიანობას, რომელმაც ფაქტიურად უნდა დაარეგულიროს მიწების დაკოლვის ბუმი კურორტზე და შეწყდეს ეს ქაოტური მშენებლობა.

–ოზურგეთი-გომისმთის გზა კი კონტროლდება და სამშენებლო მასალები არ შემოდის, მაგრამ მეორე მთის გზით შემოვიდა სამშენებლო მასალები, თანაც რეესტრის სამუშაოების დასრულებამდე არ გვაქვს იურიდიული მექანიზმები, როგორ შევაჩეროთ ეს მშენებლობები, მაგრამ აზომვითი სამუშაოების მიმდინარეობის დაწყების შემდეგ მშენებლობები მინიმუმადე დავიდა. კარგად იმუშავეს რეესტრის პეციალისტებმა, მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები ყოველნაირად ვუწყობდით ხელს მათ, რომ ხელშეშლა არ ჰქონოდათ. მინდა მადლობა გადავუხადო მათ გაწეული მუშაობისათვის –გვითხრა ბესიკ ლომინაძემ.

ჩვენთან სასაუბროდ აჭარელი კაცი **ავთო ბოლქვაძე** მოვიდა.

–კარგად იცით აჭარელი კაცი აქ საქონლის გარეშე არაფერს ნიშნავს. კურორტის მიმდებარე საზაფხული იალაღებზე ჩვენი საქონელი ძოვს ბალახს.გარდა ამისა, პატარ-პატარა საკარტოფილე ადგილები გვაქვს შემოღობილი. ასე რომ გაგრძელებულიყო, ჭინჭაოს ტბამდე მივიდოდნენ ნაკვეთების მსურველები. ჩვენ ძალიან დიდი პრობლემები შეგვექნებოდა. მადლობა ხელისუფლებას, რომ აზომვა-დაკანონების სამუშაოები მიმდინარეობს – გვითხრა მან.

ჩვენ ერთ-ერთ საავარაკო ნაკვეთის მფლობელსაც ვესაუბრეთ: *–1990 წელს გომიმთაზე კოოპერატივი „ნიშნარი“ იყო, რომელიც კურორტს პატრონობდა. მაშინ ავიღეთ საავარაკო სახლის დასადგმელი ადგილი და კარგი კოტეჯით დავდგით. სახლების დაშლა-ქურდობა რომ წავიდა, 1996 წელს კოტეჯი დავშალეთ და ბარში ჩამოვიტანეთ. იქ ამჟამად მხოლოდ ცემენტის ბოძები და კიბის ბეტონის ასავლელია დარჩენილი. გვინდა აღვადგინოთ საავარაკო სახლი, მაგრამ არ ვიცით, რადგან სახლი არ დგას, გაგვიფორმებენ თუ არა ამ ნაკვეთს* -გვითხრა ქ. რ-მ.

–გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაბის ცენტრში გვედგა კურორტზე საავარაკო სახლი. 2004 წლის აეროგადაღების რუკაზე ჩანს ჩვენი სახლი.შემდეგ დაიშალა. ახლა თონე გადაუტანიათ და ჩვენი სახლის ტერიტორიაზეა. ჯერჯერობით სამართალს ვერ მივაგენით - გვითხრა ერთ-ერთმა გომელმა (შემოქმედის თემი).

კურორტის ზემოთ მშენებარე ტაძრის მიმდებარე ტერიტორიები აქ მყოფმა სტუდენტების ჯგუფებმა კარგად გაწმინდეს ე.წ. „კოლებისაგან“, მაგრამ უფრო ქვემოთ, იქ სადაც ახალმშენებლობები მთავრდება, შეუიარაღებელი თვალით შეუმჩნეველია, მაგრამ სხვა საშუალებებით კარგად ჩანს ბაწარშემოვლებული ქვეტყის საკმაოდ დიდი ფართობი. სავარაუდოდ, იგი კვლავ ახალი მშენებლობებისთვისაა გამიზნული.

ახალი ნაკვეთების აღების მსურველები კვლავ ბევრია. ჩვენი იქ ყოფნისას ქ. ფოთიდან ამოვიდა ერთ-ერთი ქალბატონი.

–ჩემი ბაბუას გომისმთა-ბახმაროს საზღვარზე ამოჰყავდა ზაფხულობით პირუტყვი და ფერმა ჰქონდა. ახლა მინდა მეც მქონდეს აქ საავარაკო ადგილი. ასეთები აქ ბევრი ამოდის.

ლიტერატურული გურია

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გურიის ორგანიზაციის გაზეთი № 8, (11), სექტემბერი, 2020წ

სტუმარი

კახა ტვილდიანი



***

აშო-ჩელა ხომ გსმენია,
ძველი სვანური ნანა?
ჟრუანტელს არ დაუვლია,
ვერ შეიმეცნე განა?!

მწიფე ვენახში ჩამდგარხარ?
დილით შესულხარ ზვარში?
თუ გიკრეფია ყურძენი,
რა ტკბილი არის ცვარში.

მოსამკელ პურის ყანაში
თუ გაგივლია ქარში,
რაოდენ ოფლი სჭირდება,
რამდენი შრომა ბარში.

ერთხელ თუ გიმუშავია
სოფლად ნამიან ყანას,
გლეხი თუ დაგილოცია,
სიმინდი მოჰყავს ზანას.

რიონი გადაგილახავს?
შეჰყუდებიხარ ჩანჩქერს?
ენგური თუ დაგინახავს,
როგორ აბორგებს ლანქერს...

დანგრეულ ბანას შეჰყურებ,
მის დაბრუნებას ფიქრობ?
თუ საინგილო არ გტკივა,
რა გაბრწყინებას ითხოვ?!

ძნელია გასცე პასუხი,
მამული როგორ უყვართ.
ვისაც ჰკლავს, ბევრს არ საუბრობს,
უფრო დადიან უბრად...

სამშობლო, დედა, უფალი
არ გამიცვლია სხვაზე.
ველზეც ფეხშიშველ დავდივარ,
სიტყვას არ ვაგდებ ბანზე.

როცა არ ცდილობ მიბაძო,
ჩვენს ძველებს სიყვარულში.
უფალს არ უხმობ, არ ეძებ
ჩავარდე სინანულში.

როგორ გაიგებ რა არის,
მამული შენი წყარო.
სხვა ჟრიამული დამდგარა,
თავს იკლავ შე საწყალო?...

არავის არ გამოუვა, ვის
მეტად უყვარს, დავა.
თაობა შესცვლის თაობას,
იგი მოვა და წავა.

თუ თვალი არ გადაავლე
გმირთა რაინდულ წარსულს,
თუ არ იგრძენი ოდესმე,
რა შეგაყვარებს მამულს...

***

ლეგენდად ქცეული, მითოსში
დაბურული,
წყვდიადში დაკარგული ნაწილი.
ნისლში გახვეული, ცამდე აზიდული,
ციხეს მიმავალი გზა წვრილი.
ფიქრით ვევლებოდი, გული
მელეოდა,
ზღაპრად ქცეული ვსახე.
ქვის ბურჯი დარჩენილა მწარე
სინამდვილე,
როცა ახლოდან ვნახე.
ქვის ხანით დაიწყო ოქრო და
ბრინჯაო,
იარა რკინის კვნეტით.
გურჯი-ბოღაზიდან თერგის
სათავემდე,
ათასწლეულების ხვრეტით.
აწ უკვე გაძარცვული ტანთ
შემოხეული,
ფეხზე გაცვეთილი ლანჩა.
მათთვის უგრძნობელი ჩვენი
სატირალი

ოშკი, ხახული და ანჩა.....
ქოორ ვარ და მურყვამი ვარ, ძირის
ძირი მახვშებს უთქვამს.
ცხუმს დავტირი დაკარგულის,
კოლხთა ცრემლით მოვთქვამ
ურთას.
ხომლზე განძი დამიკარგავს, გელათს
ძვლები თამარისა.
მურღულელი ქართველობა, ოქროს
მთები დამარისა.
"რა ვქნისასა" ციხეს ვეძებ, ყამას
ვლესავ გაუხმარავს.
ქუთაისში მზაკვრის ხელებს
ლაბირინთი დაუმარხავს.
დანგრეული გეგუთიდან ქვა-აგური
გაულალავთ.
ლიხის მთაში გასასვლელი უღრან
ტყეში დაუმალავთ.
ლაზეთს ოქროს აკვანი ძევს, მაღალ
კლდეში გახიზნული.
კაცის გონმა ვერ შეიტყო, რისთვის
არის გამიზნული.

ვით შევიტყო რას ინახავს ,
გაუვალი შამბიანის.
ტბების ფსკერი ჯავახეთის, ფერად-
ფერით შაბიაბნის.
თითო კაცით მთა - თუშეთში
სოფლად დგომას ვინ შეიძლებს.
უკაცრიელ ხევსურეთით
საქართველო რას შეიძენს.
საინგილოს ტკივილი ვარ, მოძმის
ხელით გაცემულის.
სამაჩაბლოს მიწა-წყალზე გმირ
ქართველთა დაცემულის.
ფერეიდნელის ცრემლი ვარ დედა
ენის მოწადინე.
გაიღვიძე, სალაზეთო, ძმობის ხელი
მომაწვდინე.
ქოორ ვარ და მურყვამი ვარ, ძირთა-
ძირი მახვშებს უთქვამს.
ცხუმს დავტირი დაკარგულის
კოლხთა ცრემლით მოვთქვამ
ურთას...

***

ღმერთო ჩემო, მე შემინდე
ხორცის ჩემის ძვრისა გამო.
ვერ შევიგრძენ წუთისოფლის
გემო ჟამის, ყოვლად ამო.
ჰოი, ღმერთო რაოდენი
წუთისოფლის გზაზე გცოდე.
არ ყოფილა ადამის ძე
არც ერთ დროში ყოვლისმცოდნე.
ვიცი, ბევრჯერ აღმადგინე,
დაცემული მე მრავალგზის.
თუ ვირებთან ვერ მოვძოვე,
ტლინკი ვყარე მეც ათასგზის.
ჰოი, ღმერთო, შემიწყნარე
სიშლეგისას წყალის მკოდავს.
ზემო ძალსა ვერ მწვდომელნი
ქვე-ყანისა ნება მოგვდგამს.
შემიწყალე, შემიწყნარე, გმადლი
ქვეყნად რომ მაჩინე.
პირსა ჩემგან ნუ მიიქცევ,
შენს წიაღში დამარჩინე.
ჭეშმარიტის ვერ მცნობელი,
წუთისოფელს თავს ვაძულებ.
ვიცის ცოდნა რაღას მარგებს,
როცა ამ გზას დავასრულებ.
ჰე, უფალო, შემიწყნარე,
პირის ჩემის ამოდ მრავლის.
მე სიმდიდრედ დუმილი მყვა,
სხვა ყველაფერს ფასი რამლის.
ჰოი, ღმერთო, დაგეძებდი
ნისლის ჯვარზე მთვარიანში.
გორამაღლის ტყეებიდან
ვარსკვლავებთან ღამიანში.
ვიცი, როგორ მფარველობდი
მარტოს, მოარულეს მთებში.
სიბნელისას, სიმართლისას
თავის თავის ცნობის წლებში.
ეს დუმილიც დავარღვიე,
ალბათ, ისევ ხიბლის ცდომით.
მცირედისა არ დამჯერე,
მაინც ისევ მეტის ნდომით.
ღმერთო ჩემო, მე შემინდე,
ენის ჩემის ძვრისა გამო.
ვერ შევიგრძენ წუთისოფლის
გემო ჟამის, ყოვლად ამო.

რეზი ცინცაძე

ფრანი



ახლა სურათებს მხოლოდ ცა იღებს,
მიწა შიშველი თითქოს გაირყვნა,
ქარის მოტანილს ქარი წაიღებს,
ქარის მოყვანილს ქარი წაიყვანს.

სამოწყალეო ხურდა გაიღეს
ღრუბლებმა, თითქოს ზეცა გაიხა,
ქარის მოტანილს ქარი წაიღებს,
ქარის მოყვანილს ქარი წაიყვანს..

ვერ ენაცვლება სიტყვა თარიღებს
და იკრიბება ჯარი თარიღთა,
ქარის მოტანილს ქარი წაიღებს,
ქარის მოყვანილს ქარი წაიყვანს...

მზე და მანძილი

მზე გულზე აწევს ზღვას სევდის
ტივად,
ამ ტივს მეთევზე მართავდა ერთ
დროს
და ხდება ხოლმე, რომ ისე გტკივა-
ვერაფერს ვერ გრძნობ.
გაყოფილია ცხოვრება მესრით,
კარებთან ხავსის შეხვდები რიგებს
და ხდება ხოლმე რომ ისე გესმის-
ვერაფერს იგებ.
მთვარე ანათებს, ღრუბლებით
მთვრალი,
მიწა კი ვერ გრძნობს სხივთა
შეხებას
და ხდება ხოლმე რომ ხედავს
თვალი,
მაგრამ ვერ ხედავ...
ვერ ნახა სულმა მისი ნაწილი,
(სხვა ნაპირებზე აშენდა არგო)
და ხდება ხოლმე როცა მანძილი,
ყველაფერს ამბობს...
მზე გულზე აწევს ზღვას სევდის
ტივად,
ამ ტივს პოეტი მართავდა ერთ
დროს
და ხდება ხოლმე რომ ისე გტივა-
რომ ტკივილს ვერ გრძნობ...

2019 წ.

ზიზღი

შეტეხე სულის საოცარი ბნელი
კარები,
შენი ყოფილი სარაფნები დემონს
აცვია
და თეთრ აგურზე გამოჭრილი შავი
თვალები,
არის ოცნების უღიმღამო
დემონსტრაცია.

სისხლში შეჭრილი შავი ლაქა
სიზმრებს მოედო,
შენში მოკლული ყველა კაცი განა
კაცია?!
ღამე ნათევო შემზარავო სივრცის
პოეტო
უნდა შეავსო მარაზმათა აპლიკაცია.

ხელებდაჭრილი სურვილები და
უფხო თევზი
ასკდება წყალში ვაკუუმებს როგორც
ნაცია
ნეტავ სხეულში ჩაიშენო სულის
პროთეზი
ანდა სიზმრების მიმართული
ნავიგაცია.

შეტეხე სულის საოცარი ბნელი
კარები,
შენი ყოფილი სარაფნები დემონს
აცვია
და თეთრ აგურზე გამოჭრილი შავი
თვალები,
არის ოცნების უღიმღამო
დემონსტრაცია.

2020 წ.

***

მძიმე ღრუბლებით სულ მთლად
მოვერცხლილს
ცა ზღვას, სილურჯის უზომავს
დონეს:
ბედნიერება ალბათ ყოველთვის,
სხეულში წვიმის შეგრძნებას
ტოვებს.
მზე-დარღვეული სხივის მომენტი,
უკვე ავსებულ ღრუბლებში ბორგავს,
იმდენი არ ღირს ახლა პოეტი,
რამდენიც წვიმა ნანახი ქოლგა.
ბედნიერება ალბათ ყოველთვის,
ცას ზღვის სილურჯით უზომავს
დონეს,
მძიმე ღრუბლები უკვე მოვერცხლილ
სხეულში, წვიმის შეგრძნებას ტოვებს.
2017 წ.

***

გაჭრეს ღუბლების ცისფერი შეკვრა,
ჩრდილები კედლის ლანდს
მიათხოვეს
და ლამპიონის გარშემო ცეკვავს,
ღამის სიმშვიდე და სიმარტოვე.
საკუთარ სურნელს ცას ირგვლივ
ახვევს,
ქარი და მარტო ქარში არ ტოვებს,
და სოფლის სველ და ცარიელ
სახლებს,
ავსებს სიჩუმე და სიმარტოვე.
ქუჩებს წვეთები გულღიად აწვიმს,
წვეთები გვანან წვიმის ატომებს
და სადღაც სულში ნაპოვნი განძი,
არის სიჩუმე და სიმარტოვე.
ღამის ბნელეთით გამძღარი წვეთი,
ცის სახურავზე მის კვალს არ
ტოვებს
და წვიმის ირგვლივ იკვრება წრედი
როგორც სიჩუმე და სიმარტოვე.

ნინიკო მშვიდობაძე

ციკლიდან: იავნანები

საიავნანო

მე "იავნანას" შვილებს ვერა,
ძმისშვილებს ვუძღერი,
მათთვის ვღიღინებ
როცა ოთხი წლის ელენეს
ძილისპირული
ჩაუდგება
თავის ბრიალა თვალებში,
ხელში ამყავს,
თავს კისერში ჩამიდებს და
ძილს დანებე
ბული ხმით მიჩურჩულებს:
იავნანა მიმღერე, ბაი...
დავიწყებ ღიღინს
ვღიღინებ ამ საოცარ
სიმღერას,
ყველას რომ ამშვიდებს და
მეც ვმშვიდდები
თვალმილულული ელენიკოს
მოფხიზლე
ბული ხმა კი საამქვეყნოს
მაბრუნებს:
- შენ იავნანა არ იცი, ბაი, იავ-
ნანა დედამ
იცის,
შენ ანგელოზისა მიმღერე...
ვჩუმდები...
და ჩემი მეგობრის ის
სასწაული ლექსი მახსენდება,
დღემდე რომ მდაგავს და
მაშფოთებს:
"იავნანას ვერ მღერიან
ძიძები,
იავნანა დედამ უნდა
იმღეროს"...
ვინ იცის,
მერამდენედ ვახერხებ
სულის შორეულ სიღრმეებში
სევდის ჩაბრუნებას და
ჯადოსნური სიტყვების
სამყაროში
მერამდენედ გადავდივარ:
"ეს აკვანი ლებანოზის,
იავნანინაო,
შიგა მწოლი ანგელოზი,
იავნანინაო.
ეს აკვანი ბჟოლისაო,
ვარდოვ, ნანინაო,
შიგა მწოლი ბროლისაო,
ვარდოვ, ნანინაო.
ეს აკვანი ხარატული,
ნანი ნანინაო,
შიგა მწოლი ჩახატული,
ნანი ნანინაო"...
და ღიღინს აღარ, სიმღერას
ვიწყებ იმ
სიმღერისას,
რომელიც სადღაც შორს
მაბრუნებს:
ქოხის წინ, მუხის ჩრდილში,
სადაც არასოდეს მიცხოვრია
და მე იმ ჩემი მეგობრის
ლექსი მახსენდება კვლავ
და ვინ იცის,
მოწოლილ სევდას,
ცრემლებთან ერთად,
მერამდენედ ვიბრუნებ
სულში
აკვანს კი იქ, შორეულ
ზმანებებში,
ქოხის წინ, მუხის ჩრდილში
არწევს
კოჭებამდე ნაწნავებიანი
დედა
მე "ანგელოზისას" ვღიღინებ

შიშის იავნანა

როგორ უნდა მტკენოდა
მე უცხოს,
უცნობს
და მაინც მეტკინა კი არადა
ამოვიკემსე პირი და დავდუმდი,
რომ ხმა არ გამეღო,
რომ არ მეყვირა .
თვალები შიგნით ჩავიბრუნე,
რომ აღარ დამენახა,
აღარ მეგრძნო
აღარც ფიქრია და აღარც
საფიქრალი
ნეტავი ხედ ამოვზრდოდ
დედამიწას
სევდად ჩამომაწვიმა ყველა
ბგერამ:
ფეხის ხმა ტყეში,
ფეხის ხმა ტყეში,
ფეხის ხმა ტყეში
და სიბნელე,
სიბნელე,
არამხოლოდ ღამის
დედაჩემი დგას და ლოცულობს
მე ვფიქრობ და ბგერებს
ვიხსენებ:
ხმები,
ხმები:
გინების ხმები, სირბილის ხმები,
დამტვრეული ტოტების ხმები
თვალები შიგნით ჩავიბრუნე და
ვეღარ ვხედავ
ხელები კი არადა,
რკინის ხელკეტები მაქვს
და ხმებს ვიხსენებ:
გადამტვრეული ძვლების ხმებს,
ტკივილის ხმებს,
ცემის ხმებს
მე რა ვარ
ვინა ვარ მე და
მაინც მეტკინაზე მეტია,
რაც მჭირს
და მერე იყო შიში სიავნანა:
ყველაზე შემზარავი იავნანა
იავნანათა შორის
დედაჩემი ლოცულობს
მე კიდევ ხმებს ვიხსენებ
მაგრამ აღარაფერს აქვს აზრი,
მართლა აღარაფერს აქვს აზრი,
დიახ, აღარაფერს აქვს აზრი:
19 წლის ბიჭი არაგვმა
გადაგვიმალა
ჩვენ გადაგვიმალა -
აგრესიით გულგასენილებს,
საკუთარი სხეულის
მღეჭველებს,
სხვების სევდის შემჭმელებს
აღარაფერსაქვს აზრი
პირი ამოვიკემსე
თვალები ჩავიბრუნე
ნეტავი ხედ ამოვზრდოდი
დედამიწას

თემურ მარშანიშვილი

სიყვარულის პაროლი

ცაზე ვითვლი „დიდ დათვებს“
და „ხომლებს“,
ძირს კი ვიცავ ადათსა და
კანონს,
როცა ლექსი მომწყურდება
ხოლმე,
ვიშველიებ ჯორჯ ბაირონს,
ბარონს.
სამი — არა, მშვიდობაა ერთი!
—
არ ვუჯერებ დიდ რაიმონს,
არონს,
მეწამება, ვინც ვიწამე — ღმერთი,
სულს გავუხსნი სულ
ჟანგბადის ბალონს.
ვზივარ, ვმარცვლავ სათის კრი-
ალოსანს,
სათი ჰქვია კუპრივით შავ ქარ-
ვას,
არ ვარსებობ, არც მიფრთხიან
მგოსანს —
ბაღში ვხედავ ჩახუტებულ
ქალ-ვაჟს.
ახლა ამ სტროფს კი არ ვკერ-
ავ, ვქარგავ,
ვერ ვივარგე, ვერ მოვერგე სხვა
როლს,
დასაკარგი დავკარგე, რას ვკარ-
გავ?!
სიყვარულის აქ დავტოვებ
პაროლს.
გადავაწნავ მათრახს ბედის
ქურანს,
გათელილ მოლს დავამსგავსებ
პანოს,
ტანზე პერანგს შემოვახევ
ბურანს,
დავახვავებ ლექსის ბოლო
კალოს.
ღამემ სიმწრით მოიკვნიტა
კერტი,
დარდი გულში უნდა გავიჩარო,
მეყვარება, ვინც მიყვარდა —
ერთი,
გაუთენე დარი, ნაღდი ჩარო!..
ვიყრძობ, — აბა, რა იქნება?! —
ბარძაყს,
რომ არ ვიცი და ვიჩემებ
სლალომს,
გადაყრილი ასეთნაირ ფარცაგს,
ზოგჯერ მეტი აღარ რჩება
სვლა ლომს.
ო, რა შავი დღე ვაყარე თაბახს!
არ მგონია, აწი გამეკაროს,
შუაღამით მოვრჩი ლექსს და
ტრაბახს
მერხზე ვტოვებ სიყვარულის
პაროლს...

შემოდგომა შოპენით

მთვარე იზომებს ღრუბლების
შიფონს,
ცაზე ყოფილა, მე შინ მგონია,
ფიქრი მაყუჩებს, მიკეთებს
„იპონს“,
მოისმინეო ეს სიმფონია.

საცაა, ალბათ, დავიშოკები,
ნეკერჩხლის ტევრში ბოლთას
სცემს ზენაც,
უფოთოლცვენოდ რაა შოპენი,
ან უშოპენოდ ეს
ფოთოლცვენაც?!

გადამავიწყა, როგორ ბნელოდა,
გულიდან მომხსნა მძიმე
ლოდია,
მე რომ ველოდი, მე რომ
მელოდა,
აუ, ისეთი ჟღერს მელოდია!
კი, მინდა, მაგრამ ვერ ვარ
შორს მფრენი,
იქნება, ალბათ, ეს ბოლო ფრენა,
უფოთოლცვენოდ არ არს
შოპენი,
არც უშოპენოდ — ეს
ფოთოლცვენა...

გენრიეტა ქუთათელაძე

ციკლიდან: რეკვიემი დევნილთათვის

***

შემომაღამდა ეულად მავალს,
ჯერ შუა გზაზე ვარ,
მთვარის კელაპტარს ვნა-
ტრობ,მაგრამ...
მას ვინ ამინთებს?!
არ ამოვიდა ამეღამ მთვარე,
აღარც ვარსკვლავებს
ძველებურად
უღიმით პირი...
შორით კი,შორით,
მოსჩანს ტყე ვრცელი,
ქარის ძახილით ამოვსებული:
- ცოცხალო მკვდრებო,რა
გეშველებათ,
ვალი გაქვთ ქვეყნის!
უცებ ცა ისე ჩამოიწია,
ასე მგონია კიბე ჩამოდგეს;
მე ასვლას ვიწყებ,სანამ ჯერ
დროა
სანამ გაავებულთ
უბრძანებიათ:
--გადაურაზეთ სუყველა კარი!
შემომეგება ცა ნაცრისფერი
ღრუბელის რაშით,
მე ეს მარულა უნდა მოვიგო...
გავყურებ მინდვრებს--
ფერშეცვლილებს და
მოწყენილებს,
მავთულხლართებით
ჩახერგილებს, ღმერთო ჩემო,
ასე სანამდე?!/
ქართლის ველებს
ჩაქრობოდათ თვსლებში
სხივი,
ვხედავდი მოხუცს ნამტირალევს,
მთლად გალეული ფეხზე
ძლუვს იდგა,
მხრებჩამოყრილი ახალგაზრ-
და,
ბავშვი დამფრთხალი...
ქალი ძაძებში გულს
მიღონებდა;
--ვაიმე, შვილო, ტაძარიც რომ
გამომიკეტეს,
ლოცვას მაინც ვერ
მომიშლიან,
მართალის გული ტაძარი
არის-- მოთქვამდა ქალი.
ჰო,არ იყო ქალი მონური
სულის,
მას სულიწმინდის ეფინა
მადლი,
შვილი მოუკლეს, მაგრამ
მაინც ვერ დააჩოქეს;
არც ყვავილები დაუფენია
ფეხქვეშ მავანის, როგორც
ზოგიერთს...
დედამ ქართლისა კარგად
იცის მამულის ფასი და რომ
არ თქვას, არ შეუძლია,
რომ უკეთურებს დაუპყრიათ
აქ ყველაფერი,
დღითი--დღე პატარავდება
სამკვიდრო ჩვენი
და ღმერთმა გვაცილოს
უარესი ხვედრი...
დედავ ძვირფასო,
მე მესმის შენი,
მადლობელი ვარ, რომ
ტაძართან მელი;
ორის ლოცვას მეტი ძალა
აქვსო--
ელვამ დასჭექა სათქმელი
შენი...
და როს დაწურავს ზეცა
მტევანებს მზისას,
ციდან გეწვევი მე ჩემი
ქნარით;
ია და ვარდი ჰფენია გზაზე
ქვეყნის მოყვარეს,
ჯვარი სწერია ყველა
ზნეკეთილს;
არ დაივიწყოთ, ახლოა ჟამი
და
დრო გააცხადებს თუ ვინ ვინ
არის.
ჰოდა ,იმ დროის გეშინოდეთ,
მედროვეებო!,

სოფო ღლონტი

***

ვუფრთხი
ლუციფერის ღიმილს,
ვუფრთხი
ფარისევლურ კდემას,
მაწანწალასავით
ვივლი,
მიჯობს მეფურ
განდიდებას!
ვუფრთხი მედროვეთა
ბახუსს,
ვუფრთხი
კურტიზანთა ვნებას,
ვუფრთხი,
ორი ბატონის მსახურს,
ცრუს, ორპირს და
თავნებას...
ვუფრთხი,
განმკითხველთა ენას,
ვუფრთხი,
ანაფორას
ვაჭრის,
უნიჭო
„ვარსკვლავების“ცვენას

ბოლო ჟამია, თუ
რა გვჭირს?!
ტრაგი-კომედია აი...
ვუფრთხი, აღარაფერს
ვუფრთხი,
მოუკვდეს
გულგრილობას თავი,
რომ ის ღირსი არის
ფურთხის...

***

ნამთვრალევი და გალეშილი წვანან
ხეები, წვიმა კი დარდით
ანაცრემლი ქუხს და
აწვიმებს,
მეხი კი ცაზე,
გაოცებით განახევები,
ჭექა-ქუხილით
აფრთხობს ლაღ და
ამაყ არწივებს.
განაცრისფერდა,
მოიქუფრა ზეცა
ნაღველით
და ყველაფერი
დაემსგავსა მიწას

სევდიანს,
დღეს ბულბულების
გალობასაც უკვე არ ველი,
დღეს მარტოსულნი
კვლავ ირჩევენ მარტოდ ხეტიალს...
მალე ნაცარი დაეყრება
დანთებულ კოცონს,
ისევ ფაცი-ფუცს
მოჰყვებიან მთებზე ქარები,
ჩემს სულს კი ღელვა,
ჩუმი შფოთი მით უფრო
მოსწონს,
ვიდრე სამყაროს
საფლავის ქვას შევეფარები...

მარიამ ბაქანიძე

***

საოცრება ხარ გულო-პატარავ.
მუჭისოდენა..
ყოვლის ჩამტევო.
ყოფამ რა გზები არ მომატარა,
სად არ გატარე ღამენათევო.
დედის მუცლიდან...
ასე ერთგულად ,
ასე თამამად ვებრძვით გრიგალებს.
მე -ქალი მქვია.
შენ კი პატარა...
გამეღვიძება როს იტიალებს!
.ამიფეთქდება სულში შენი მზე,
უხმო ძახილი, მშვიდი დინება.
ვიცი მდარაჯობ "შოლტებით"დაღლილს
"კარიბჭესთან"თუ ჩამეძინება.
სად არ ვიარე უგუნურ ხედვით,

სად არ გეძებე ჩემო უფალო!
მკერდ- ქვეშ მყოლიხარ უხილავ მზეში,
აწ და მარადის ჭირისუფალო!

***

ცხოვრება რაა?
წისქვილს ჰგავს უფრო.
დაფშვნილ სიცოცხლეს ფქვავს და ღიღინებს.
ბედი?
უგულო -დოლაბის ქვაა.
მისთვის ბუდბუტებს ...
არ გაგიღიმებს!
ყოფნა?
მიწაა გაუმაძღარი,
თესე და მარგლე რამდენიც გინდა!
მხოლოდ კეთილ თესლს ადებს საწყაულს.
მხოლოდ სიკეთეს ჩაგითვლის მინდად.

არყოფნა?
ცაა...
სიტყვად ნათქვამი.
დატოვებული მყოფადში ბინდად.
დარაბებს მიღმა თეთრი აკვანი
მზეს მიჰქონდა და...
ცეცხლისფრად წვიმდა.
ცხოვრება რაა?
სიცოცხლის წრთვნა და...
ყოფნა არ ყოფნის დავა ხილული.
არყოფნა?
ყოფნის ტყუპისცალია"მეხთან"
ჭიდილში დაბადებული!

ოტია ტრაპაიძე



***

შუაგორაზე ძვლებს ითბობს მთები,
მთისა და ველის თეთრი კუნძული,
თითქოს მელოდა ნანატრი ბედი,
ისე გავყევი მთებს მე ჩურჩულით.

ბრწყინავდა გულით დასაკოცნელი
მზეს ჩახვეული, ტყე და ველები,
უცებ გამიერ კარი ოცნების,
ცად ამიტაცე სუსტი ხელებით.

მერე დამტოვე დაღლილი მგზავრი,
სადღაც ბნელეთში, საღაც მთა-გორთან,
სუფსის დელგმაში ზარი რეკავდა,
მე კი არაფრის თავი არ მქონდა.

მჯერა მომნახავს,, გზას გამინატებს
მთათა და ველთა ფერიცვალებ,
გლოცავ, გადიდებ, გეძახი, გელი,
დროს მიუხედე, დროს ეჩქარება.

ჩვენი შეხვედრა იყო სიზმარი

გამომეცხადე – როგორც ცისკარი,
ფიქრიანი და ღამენათევი,
ჩვენი შეხვედრა იყო სიზმარი
და განშორებაც ნაუცფათევი.
შენ დამიტოვე ღიმილი, სითბო,
ტკბობა სიმწარით, ლხინი ნაღველით,
შენს დაბრუნებას ხმამაღლა ვითხოვ,
ღმერთის, და ვბედავ, ჩემი სახელით.
მე შენზე ფიქრი ყველგან დამყვება,
შორს გამიტაცა ოცნებამ უცებ,
რომელმაც მალე ფრთები გაშალა
და დაერია ყვავილთა ფურცლებს.
ლექსში აენთო შენი ხატება
თმაგიშერა და თვალებმაყვალა,
ქარმა სიყვითლე ხიდან მოხვეტა,
სახეში ცივად შემომაყარა.
დამხარხარებენ ფოთლები ხმელი,
ქარი რომ აფენს პირქუშ ნაპირებს,
შენზე სიმღერას შევუშვი ხელი,
შენს გაღმერთებას ფიქრში ვაპირებ..

***

ვერ დავაღწიე თავი ცდუნებას,
საჯილდაო ქვა ვერც კი დავძარი,
რატომ – არ ვიცი, პასუხი არ ჩანს
და ძლიერდება გულში ხანძარი.

არავინ გვერდით, ვიგრძენი ნათლად,
ვარ უთვისტომო – კაცი ეული,
მსურდა, ვერ ვიქეც ლექსის სტრიქონად,
სუფსის დელგმაში გზააბნეული.

ცისანა ჩხაიძე-ჯაში

საბავშვო ლექსები



წიგნი

თუ კარგი წიგნი უყიდეს,
ფეხსაც არ გადგამს სხვა მხარეს,
ყველაზე უფრო მახარეს
წიგნების კითხვა ახარებს.
სულ გამართულად კითხულობს,
შემდეგ უყვება დაიკოს,
მთელ მსოფლიოში რაც ხდება,
სურს, ყველაფერი გაიგოს.

თხ უნელა

თუმც ლამაზი ბეწვი გაქვს,
მიწის ქვევით დადიხარ,
რამდენს დაეხეტები
იქითაც და აქითაც.
ნუთუ მართლა ვერ ხედავ?
იქნებ კიდეც თვალთმაქცობ.,
მწვანილი სულ ათხარე,
ბრმა ყოფილხარ მართლაცო.

სოფელი

რა ლამაზია სოფელი,
ჭალა, მინდორი ველიო,
ირგვლივ ბაღნარი შრიალებს,
იქით ზვარია ვრცელიო.
დაე, იხაროს სოფელმა,
გამრავლდეს ჩვენი ერიო,
ბედნიერების შარაგზა
სავალად არის ძნელიო
და თუ არ დაგეზარება,
ცას მიგიწვდება ხელიო.

საქმიანი ბავშვები

პირალესილი ნაჯახი
დაუჭერია ხელშიო,
საქმიანია ლევანი,
ბაბუს მიჰყვება ტყეშიო,
ბებოს ნინო და ქეთინო
ამოდგომიან გვერდშიო,
ნიკო ნიადაგს ამზადებს,
ჩითილებს რგავენ კვლებშიო.

პაწია ლეკვი ჯულია

მესამე დღეა, დავეძებ,
ლამის გამისკდეს გულია,
არც თუ ისეთი დიდია,
ლეკვი დავკარგე – ჯულია.
თავ-ყელზე თეთრი ბეწვი აქვს,
ზურგისკენ უფრო მუქდება,
ჩქარა, ი პოვეთ, მომგვარეთ,
მნახველი დასაჩუქრდება

მერაბ ჩხაიძე
ბებიას ფენიე და ალფესი

ასე, ნაშუადღევს ალფესი ბენიას ეზოს მიადგა და გასძახა:

– ბენია!

პირველ დაძახებაზე არავინ გამოპასუხებია.

– ბენია, არ გეყურება, კაძახო?! – ხმას აუწია ალფესიმ.

– კი მეყურება, ალფესი, და ა, გამუედი, ხომ მშვიდობაა? – სხვათა შორის და თავისფხანით იკითხა ბენიამ.

– ჯერემ გამარჯობა?

– გაგიმარჯოს, მერე?

– მერე?! ე! გეიხედე იქით, ჩემს საყანეში!

– ბენიამ ალფესის საყანეს გახედა, ფერდობის თითქმის ნახევარი რომ ეჭირა.

– გეგიხედე, მერე?

– ბიჯო, გადამრევ მე შენ! იი შენი ფენიე არაა?!

– უი, ალფესი, შენ რა გითხარი, ბიჯო, არა, არაა ჩემი.

ალფესიმ ძროხას გახედა.

– რაფერ? აი ფენიე არაა??

– ფენიე კია, მარა ჩემი არაა.

– მეიცა, მეიცა! ფენიე თუა, შენი რეიზა არაა ვითამ?!

– ერთი კვირის უკან გავყიდე, ნოშრევანამ იყიდა.

ალფესი ჩაფიქრდა.

– კაი, მაშინ წევედი მე ნოშრევანასთან!

ბენიამ ისევ მოიფხანა თავი და მშვიდად უთხრა:

– ფენიე ნოშრევანამაც გაყიდა მეორე დღეს.

– ვინ იყიდა?

– მელუდიამ.

– კაი! წავალ მაშინ მელუდიასთან!

– ნუ წახვალ მელუდიასთან, ალფესი.

– ვითამ რეიზა?! – გაიკვირვა ალფესიმ.

– იმიზა, რომე ამ დილას ჩემთან იყო და ასე მითხრა – ნოშრევანას ფულს ვერ ვუხთი ფენიაში და იქნება დეიბრუნოო.

– მერე?! – ბრაზდებოდა ალფესი.

– მერე ასე ვუთხარი, რომე საღამომდე მაცალე, მევიფიქრებ-მეთქინ.

– ბოლოს და ბოლოს გამაგებიე, ბენია, ვისია აი ძროხა, ნოშრევანას, მელოდიეს თუ შენი?!

– ამ წუთიზა რაფერაა იცი? მელუდიამ ნოშრევანას ფული თუ გადუუხადა, მაშინ მელუდიესაა, თუ ვერა და მე მივეცი ფული მელუდიას, რომე ნოშრევანას მისცეს, მაშინ ჩემია ჯერჯერობით. შეიძლება თქვას კაცმა, რომე ფენიე ჰაიერშია გამოკიდული.

– ჰაიერში კარა, ჩემს საყანეშია ეგერ! და ვინ გადმეიყვანს იქიდან, მაი მინდა ვიცოდე მე! – განრისხდა ალფესი.

– მაი თუა და მეტი აფერი, მაგას მე ვიზამ, შე კაცო. მაგიზა ბრაზდები? ამ წუთში, ა! მუალ და გადმევიყვან!

– გადამრევ მე შენ, ბენია! სხვაი რაია?! რეიზა უნდა იყოს ვინცხას ძროხა ჩემს საყანეში? რეიზა თვარა

კი?!

– ჰო, არ უნდა იყოს! – სწრაფად დაეთანხმა ბენია და ჭიშკრისკენ გაემართა, ეზოდან გადავიდა, ალფესის შემოღობილ საყანეს გადაახტა და ფენიე სახლისკენ გამოდენა.

– წამოი, ფენია, წამოი.

ფენიამ ბენიას გამოხედა და:

– მუუუუ-ო.

– ხო, ხო, რაფერ დაგბითქვინებია ჯიქნებიი!.. ფენია, წახანე ალფესი კიდომ გავბერე ტყვილებით – მე იმას მივყიდე ფენიე, იმან იმას-მეთქინ, მარა...

ფენიამ – მუუუუ-ო, – გააწყვეტინა.

– მათქმიე, ფენია! ჰოდა, იმას გიჩიოდი, რომე, კარ მიხარია აი ტყვილები, მარა რა ვუყო, ფენია? ჩემი ბრალი კარაა... არც მისი არაა... ახლა, სახში რომ მიგდენი, ჯერემ მოგწველ, მერე ყველს ამევიღეფ და ერ ლიტრა რძესთან ერთად ერ თავ ყველს ალფესის მუუკითხავ, უყვარს მაგას და კიდომ მარტუუაა კაცი...

ფენიამ ისევ – მუუუ-ო.

– ჰო, ვიცი, ვიცი, რომე უარზე არც შენ იქნები და ამეღამც ვქნათ ასე.

საღამოსპირს ბენია ალფესისთან მივიდა:

– ალფესი!

– რომელი ხარ?

– მე ვარ, ბენიე!

– ჩამოი, ბენია!

ჩავიდა.

– როვა ხარ, ალფესი?

– რია ვიცი... ვარ ასთე, რომ მიყურეფ, შენ როვა ხარ?

– მეც მასთე... ა, რძეია აქანე და ყველი კიდომ... ფენიე გადმევიყვანე იქიდან.

– სეიდან?

– შენი საყანიდან.

– ჩემ საყანეში იყო?

– ... ჰო... იყო...

– მერე ყოფილიყო, ბიჯო, ებალახა ერხანს.

– იბალახა, ალფესი... იბალახა... რამდონი ხანია, რაც ნინიჩკა აღარაა?

– ჩემი?

„აბა ჩემი ცხრაი წელი, ოთხი თვეი და მესამე დღეია დღეს“ – გაიფიქრა და:

– ჰო, შენი – ო – უპასუხა.

– აუჰ! რა ვიცი მე! კაი ხანია!

ბენიამ მეზობელს გახედა, მკრთალ განათებაზეც შეამჩნევდა დაკვირვებული კაცის თვალი ორივე მოხუცის ნამიან თვალებს.

– კაი, ალფესი, წევედი ახლა მე და იი მითხარი, ხვალე თუ ჩუუშვა ფენიე შენს საყანეში.

– ჩუუშვი, აბა, რაი! ბალახია, მეტი რაია ჯერემ იქინე?

– მადლობა, ალფესი, ჰო, იი რძეი ასადუღებელია.

ბენია სახლისკენ ბრუნდებოდა: „ეჰ ალფესია, ბიჯოოო. რამდონი ხანია შვილები არ ჩამოქსლია... ისე შენ შვილებს რას ვერჩი... ჩემები?.. რავა არიან ნეტა?.. ბადიშები მომენატრა“.

მეორე დღეს, ასე, ნაშუადღევს ალფესი ბენიას ჭიშკარს მიადგა და გასძახა:

– ბენია!

პირველ დაძახებაზე არავინ გამოეპასუხა.

– ბენია, ბენია, არ გეყურება, კაძახო?!

– კი მეყურება და აგერ ვარ, ალფესი, ხომ მშვიდობაა?

– ჯერემ გამარჯობა!

– გაგიმარჯოს, მერე?

– მერე? ე! გეიხედე იქით, ჩემს საყანეში! იი ფენიე არაა?!

– კი, ალფესი, ფენიე კია, მარა ჩემი არაა...

გიო კილაძე
შვილის გამახაალგაზრდავებელი



- გიო. არ გეწყინოს, მაგრამ ამ ბოლოს თავს სულ არ უვლი - აბა, თუ იცი, ვის შეუძლია ეს მითხრას და მე კი არ გავბრაზდე, ჩავეხუტო... თავზე ვაკოცო და ვუთხრა... ძლივს, ძლივს... ამას მივაღწიე...

- რას, რას?! - უი უი, ღმერთო ჩემო, როგორ უკვირს? - მე ზუსტად ვიცი, რას ნიშნავს თავის არ მოვლა.. წვერს რომ არ ვიპარსავ, აქ რომ ვარ, შეეგუა.... აი, თმის არ გაკრეჭვა, მთელი 3 თვე... და მგონი მეტი, ნამეტარია...

ამბობს, რომ მამას თავად კრეჭდა.

ამბობს, რომ გრიშას მთელი ათი წელი თვითონ კრეჭდა და მიდის.... თუ იცი სად?

არ იცი?

არც მე ვიცი...

- გამკრიჭე რა, დე.... - ვეუბნები...

- სადღა შემიძლია,

- სადღა შემიძლია... - იმეორებს და ზუსტად ვიცი უკვე მაკრატელს და სარკეს "ეძებს"...

არადა, ზუსტად იცის, სად, რა და როდის დადო...

...

გამკრიჭა. ..

- გიო, რა გაახალგაზრდავებული ხარ! - მეუბნება ჩემი ბიძაშვილი....

- აბა, რა, თუ იცი, ვინ გამკრიჭა?!...

იცის, აბა, არ იცის....

უსმენს ჩვენს დიალოგს

სულ, სულ მოკლეს და

აუ, რა უხარია!

....

წაიკითხა დედამ ტექსტი...

სულ ცოტათი იბუზღუნა...

აცრემლებულთვალებიანმა....

სურათის გადაღება მინდოდა....

ვერ დავდებ, დე, მაგრამ

დამრჩებოდა ჩემთვის...

ვწერ...

და უცებ....

" ახლა კიდევ წერ ხო "აბდლურს"? - ამბობს და დამჭკნარი ხელით ცრემლებს იწმენდს...

თამაზ ხინთიბიძე

სოფელში ბებიასთან

ახლა საღამოა, ახლოა ბინდი,
დასველდა ბალახი.
ბებიაჩემი ძროხასთან მიდის,
მიჰყვება ბალახი.

იტყვის: დღეს ძროხა მშიერია,
მივხედავ წამით.
მე ვწუხვარ – ბებია ხნიერია,
არ სძინავს ღამით.

დაკარგულ შვილზე დიდი ხნის
დარდმა
მოხარა მხრებში
ვერა, ვერ გაექცა ცხოვრების
ზამთარს,
ოხრავს და ხვნეშის.

დაჯდება ბუხართან ცრემლიან
თვალებით
და მოქსოვს წინდას,
მოვლენ საჭორაოდ მეზობლის
ქალები,
თუკი გაწვიმდა.

ბებიას არ უყვარს უაზრო კამათი,
თავს დაბლა ხრის...
მერე გავა და დიდი კალათით
მოიტანს ხილს.

სოფელში ბებიასთან

რამდენ ქარიშხალს
დაულეწავს ფრთები ამ მთებთან,
აქ ისტორიას ფარავს ომები.
სვამდნენ დარიშხანს,
ტყვეობაში მიჰყავდათ როცა,
ვინ არ გვიტევდა...
კეისრები, ფარაონები.
როს ჩეხდა ხმალი
ათას ვერაგს, ათას მოხეტეს,
ქართულ კერაზეც
ციოდებოდა ხშირად ნაცარი.
რამდენი განძი,
რა სიმდიდრე, რა არ მოხვეტეს,
მიწას დაატყვეს სამუდამო
ნაავკაცარი.

და მაინც იდგა
ჩვენს დიდებად შატბერდი, ხანძთა,
ხუროთმოძღვრების სასწაულად
ოშკი, სიონი.
გმირთა ცხოვრება იყო ერთი
ლამაზი განცდა.
მათ სადიდებლად თავს დაბლა ხრის
კავკასიონი.

წვიმის წვეთები

წვიმის წვეთებად ჩამოდნა ზეცა,
ჩამოდით, გელოდით, წვეთებო.
თუ რამ კეთდება,
თქვენგან კეთდება,
წვეთებო.
ციურო წვეთებო!
ზღვებს ნუ შეაშფოთებთ...
ო, ეს არ იქნება...
პატივი მიაგეთ მშობელთ,
ღრუბლებმაც აიშვეს...
ო, წმინდა წვეთებო,
არ მინდა სარკმელი გვყოფდეს,
ეს ბეთჰოვენი მიუჯდა კლავიშებს,
თუ თქვენ აწკარუნებთ ფოთლებს...

რედაქტორი: თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru ტელ: 599 373515

14 სექტემბერს სწავლა ოზურგეთის ყველა სკოლაში დაიწყება

ალიონი. საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, გარდა დიდი ქალაქებისა, ყველა საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წელი დღეს, 14 სექტემბერს დაიწყება.

თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ოზურგეთის სკოლებში და განახლდება თუ არა სწავლა ქვედა ბახვის საჯარო სკოლაში, რომლის პედაგოგები წინა კვირას ქ. ბათუმში, სკოლის თანამშრომლის შვილის ქორწილში იმყოფებოდნენ და ერთ-ერთ მათგანს საეჭვო სიმპტომები გამოუვლინდა, ამის შესახებ კომენტარი ოზურგეთის განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელს ლელა იმედაშვილს ვთხოვეთ:

–მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში 14 სექტემბერს დაიწყება ახალი სასწავლო წელი.სოფელ ქვედა ბახვის საჯარო სკოლაშიც 14 სექტემბერს დაიწყება სწავლა. რაც შეეხება სპეციალური საგნის პედაგოგს, რომელიც სკოლის დირექტორსა და 3 მასწავლებელთან ერთად იმყოფებოდა ქორწილში და ჰქონდა მათთან კონტაქტი, ჯანდაცვის ცენტრის დასკვნას ელოდება. დანარჩენი პედაგოგები თვითიზოლიაციაში იმყოფებიან და ორლაინ რეჟიმში ჩაატარებენ გაკვეთილებს, –გვითხრა იმედაშვილმა.

გამოკითხვა

რა იციან მოქალაქეებმა 31 ოქტომბრის არჩევნების შესახებ

თემურ კილაძე, (სოფ.მამათი): ვიცი ვასილ ჩიგოგიძე, გოგორიშვილი „ევროპული საქართველოდან“, სიორიძე „ლელოდან“. მათ შე-ხვედრებზე არ ვყოფილვარ, მაგრამ არჩევნებზე მივალ. არჩევანს რაც შეეხება, კარგი დაპირებები აქვს „ლელოსაც“, „ოცნებასაც“. პირველ რიგში ჯანდაცვაა მისახედი, აუცილებლად უნდა შეიცვალოს მიდგომები ამ მხრივ. ადამიანს ეშინია, „ტყულა“ რომ გავიხედო საავადყოფოსკენ, ეგება ფულის გადახდა მომთხოვონო. არჩევნების შედეგებს რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას და ოპოზიციას თანაბარი შანსები აქვს.

ირინა ჩხაიძე (სოფ. შრომა): ვიცი რომ „ოცნების“ წარმომადგენელი ჩიგოგიძეა. ჩემ სოფელში წინასაარჩევნო შეხვედრა ჩაატარა. მე პირადად შეხვედრაზე არ ვყოფილვარ. სხვა კანდიდატები არ ვიცი.

უჩა მელიქსეთიანი (სოფ. შრომა): ზოგადად საპარლამენტო არჩევნებზე რომ ვისაუბროთ, არარეალურია, ერთი დეპუტატი ოთხ-ხუთ რაიონს მოემსახუროს. რაც შეეხება კანდიდატების გაცნობას, მე ბათუმში რეგისტრირებული ამომრჩეველი ვარ და იქაურ კანდიდატებს, რა თქმა უნდა, ვიცნობ.

ნანი მჟავია (სოფ. გურიანთა): ჯერჯერობით მხოლოდ სახელისუფლებო კანდიდატის, ვასილ ჩიგოგიძის შესახებ მაქვს ინფორმაცია. ოპოზიციურ კანდიდატებს არ ვიცნობ. ჩემ არჩევანს, რა თქმა უნდა დავაფიქსირებ. დასამალიც არაფერია, „ოცნების“ კანდიდატს დავუჭერ მხარს.

შორენა დოლიძე (სოფ. ლიხაური): ჯერჯერობით არ ვიცნობ კანდიდატებს, მაგრამ არჩევნებამდე გავეცნობი. ვაპირებ, მივიდე საარჩევნო უბანზე და დავაფიქსირო ჩემი არჩევანი.

მაყვალა გოგუა (სოფ. ჯუმათი): საარჩევნო გარემოს ნაკლებად ვიცნობ. კანდიდატების შესახებაც თითქმის არ მაქვს ინფორმაცია.

ევა ტრაპაიძე(სოფ. აჭი): რამდენიმე კანდიდატს ვიცნობ: გოგიბერიძეს, სიორიძეს, ნინო შეწირულს. სამივეს დადებითად შევაფასებდი. დეტალურად მათ საარჩევნო პროგრამას არ გავცნობივარ, მაგრამ გავეცნობი. არჩევნებშიც მივიღებ მონაწილეობას.

რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით


ვასილ ბერიძე
ISBN 978-9941-9-1056-6
ISBN 978-9941-9-1057-3
ვასილ ბერიძე
ISBN 978-9941-9-1056-6
ISBN 978-9941-9-1057-3

158 ახალი შემთხვევიდან 87-აჭარას, 28-სამეგრელოს, 19-იმერეთს, 6-გურიას, 18-თბილისს უკავშირდება

თბილისის ცენტრალური ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორის მარინა ეზუგბაიას განცხადებით, 11 სექტემბრისათვის კორონას 158 ახალი დადასტურებული შემთხვევიდან 87-აჭარას, 18 კი თბილისს უკავშირდება. მისივე განმარტებით, ვირუსის გავრცელების მაჩვენებელი პანიკის საფუძველს არ იძლევა, რადგან მთავრობის, ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ სწრაფი და თანაზომიერი ქმედებები განხორციელდა.

„დღეისთვის დაგვემატა 158 ახალი დადასტურებული შემთხვევა და გვაქვს 2075. ეს 158 დადასტურებული შემთხვევა ასეთი განაწილებითაა - 87 არის აჭარა, 28 არის სამეგრელო, 19 არის იმერეთი, 6-გურია და 18-თბილისი. ასეთი მაჩვენებელი ქვეყნაში არ ყოფილა, მაგრამ ეს ჩვენ პანიკის საფუძველს არ გვაძლევს და ამიტომ მინდა გითხრათ, რომ შედარებით წყნარად ვიყოთ და ავხსნი, რატომ არ არის ეს პანიკის საფუძველი. გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან მყისიერი, სწრაფი, თანაზომადი ქმედებები განხორციელდა მთავრობის, ჯანდაცვის საინისტროსა და დაავადებათა კონტროლის მიერ, ძალიან სწრაფად მოხდა ინფიცირებულების კონტაქტების მოძიება და მათი გამოკვლევა,“- განაცხადა მარინა ეზუგბაიამ.

მისისვე განმარტებით, ბათუმსა და ცაგერში ვირუსი თითქმის ლოკალიზებულია. „შემიძლია გითრათ, რომ ამ 158-დან ყველაზე დიდი რაოდენობა არის ბათუმში და ბათუმში თითქმის უკვე ლოკალიზაციისკენ მივდივართ ანუ ასეთი სწრაფი კვლევები იმის საშუალებას იძლევა, რომ მათი კონტაქტების იზოლაცია მოვახდინოთ, რითიც ჩვენ მყარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაავადების გავრცელების შეწყვეტას განვახორციელებთ. ბათუმი თითქმის ლოკალიზებულია. ლოკალიზებულია ასევე ცაგერი“,- განაცხადა მარინა ეზუგბაიამ.

ქობულეთის თეატრალურ ფესტივალზე ოზურგეთის თოჯინების თეატრმა გაიმარჯვა

1 სექტემბრიდან 6 სექტემბრამდე გრძელდებოდა ქობულეთის თეატრალური ფესტივალი „მზიანი საქართველო“, რომელიც მეორედ გაიმართა და რომელშიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი მონაწილეობდა.

ლაშა კუტალაძე, თეატრის დირექტორი: –ძალიან ძლიერი თეატრალური კოლექტივები წარმოდგნენ ფესტივალზე. მათ შორის იყვნენ ახალციხის სახელმწიფო თეატრი. ქუთაისის, ჭიათურის, ბოლნისის, ზესტაფონის, გურჯაანის, ველისცხის, ხელვაჩაურის და ახალქალაქის სომხური თეატრები.

ფესტივალის გახსნაზე ჩვენ კონკურსგარეშე წარმოვადგინეთ „ვარიაციები წითელქუდას თემაზე“ (ვახტანგ გიგინეიშვილის დადგმა).

ჩვენ საკონკურსო სპექტაკლი, ნინო ანთიძის „მუჭანახევარა“ ფესტივალის ბოლო დღეს წარმოვადგინეთ. (რევაზ ბაინაზ-იშვილის დადგმა)იგი აჭარის დამსახურებული არტისტი და გივი სარჩიმელიძის პრემიის ლაურეატია.

მოლოდინს გადააჭარბა მაყურებლის ემოციამ და ჟიურის გადაწყვეტილებებმა. საუკეთესო სპექტაკლისათვის ჩვენს თეატრს ფესტივალის მთავარი ჯილდო - გრან პრი გადაეცა.

ამას მოჰყვა სხვადასხვა ნომინაციის ჯილდოები: (საუკეთესო რეჟისორი, საუკეთესო მსახიობი, საუკეთესო მუსიკა, საუკეთესო მხატვარი, საუკეთესო სინქრონი და ა.შ). დაჯილდოვდნენ: რევაზ ბაინაზიშვილი, გურამ კეკელიძე, გია გოგიტიძე, ელენე კვარაცხელია, ნინი გაგუა,ქეთევან კოპლატაძე, გიორგი ვაშალომიძე, გიორგი გაფრინდაშვილი,თამთა გაბრელიანი.

ლაშა კუტალაძის თქმით, გამარჯვებული თეატრი ოქტომბერში ქ. თბილისშია მიწვეული.

ფესტივალის სპეციალური ჯილდო –ფესტივალის მხარდაჭერისათვის ფესტივალის ორგანიზატორებისაგან ოზურ-გეთის მუნიციპალიტეტის მერს კონსტანტინე შარაშენიძეს გადაეცა..

რესტორანი, სადაც სუფრას შემოქმედებითად უდგებიან!

– მოხდენილი ინტერიერი, 70-კაციანი კეთილმოწყობილი დარბაზი, ხალისიანი ეზო, ორი ფაცხა;

– ქართული სანელებლებით შეკმაზული ეროვნული წვნიანი და მშრალი კერძების ფართო ასორტიმენტი, სამეფო, იმერული, გურული და აჭარული ხაჭაპურები... კი, სხვაგანაც გემრიელია, მაგრამ ცაცას ნახელავი მაინც სულ სხვაა!!!

– ნატურალური მატონიზებელი და ალკოჰოლიანი სასმელები, მუსიკა პირდაპირ ინტერნეტიდან.

და ეს ყველაფერი სად? – სოფელთა სოფელ შემოქმედის ცენტრში, რესტორან ჩაქუხაში“.

„ჩაქუხა“!!!

რესტორანი, სადაც სუფრას შემოქმედურად, ანუ შემოქმედებითად უდგებიან!!!

მიიღება შეკვეთები.

ტელეფონი: 574 22 31 62

ვულოცავთ!

ბაბუცა აბრამალაძეს

ჩვენს უბანში შენ უხუცესი ქალბატონი ბრძანდები.
წლებმა მაინც თავისი გაიტანეს და ყველაფრის სატკივარი მოგეძალა.
დედი (ეს შენი საყვარელი მიმართვაა), გილოცავ დაბადების დღეს და ყველაზე უპირველესს – ჯანმრთელობას!

გულსუნდა მახარაძე.

7 დღის ამინდის პროგნოზი

14 სექტემბერი ორშაბათი	15 სექტემბერი სამშაბათი	16 სექტემბერი ოთხშაბათი	17 სექტემბერი ხუთშაბათი	18 სექტემბერი პარასკევი	19 სექტემბერი შაბათი	20 სექტემბერი კვირა
მზე, ღრუბელი +16+24	მზე, +16+26	მზე, ღრუბელი +16+24	მზე, ღრუბელი +12+20	მზე, +15+21	მზე, +17+26	მზე, +17+29